# სახალხო გაზეთი

№ 487 ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 1911 წ. № 487

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. შეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სახალხოს ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ჟურნალ- გაზეთების სააგენტო

## იმერეთი

—ქუთაისში—

ამით აცხადებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას

**1912 წ. „სახალხო გაზეთ"-ზე**

და ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოდის „**იმერეთის**" კანტორიდან.

## „სახალხო გაზეთის" კანტორა

ღია აქვს დილის 9 საათიდან

## საღამოს 8 საათამდე

# სახალხო გაგეთი

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო**

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

**ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება**

## სურათებიანი დამატება.

(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი.

**რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.**

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამოცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევე ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასო.**

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „**სახალხო გაზეთი**"-ს **კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**



27 დეკემბერს, ღამით სასტუმრო „ორიანტში" მოულოდნელად გარდაიცვალა

სტატისტიკი სოციალისტი **ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით ატყობინებს განსვენებულის ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რძალი მისი **მარიამ მიხეილის ასული ღოღობერიძისა.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1.1021.1)



პარასკევს, 30 ქრისტეშობისთვეს,

**გიორგი ნიკოლოზის ძე ტოროშელიძის**

გარდაცვალების წლის თავს, სასაფლაოს პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, განსვენებულის ქვრივი, შვილები, სიძე და რძალი. (1.1020.1)



№ ტელეფ. 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, 1911 წ. **ვ. მესხიშვილის** მონაწილეობით ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვალერიან გუნიას საბენეფისოდ** პირველად ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა

## „იულიოს კეისარი"

ტრაგედია 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა.

**დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანსაცმელები.**

წარმოდგენის დასასრულ გაიმართება

**კონცერტი-დივერტისმენტი.**

მონაწილეობას მიიღებენ: **ვანო სარაჯიშვილი,** ნიკ. ქართველიშვილი, ვ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ც. ამირეჯიბი, ნ. გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვ. მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი. **დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი საბენეფისოსა. ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად „კორიოლანი", „მასხრები", „ოლატი".

(2.997.2) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**



**დოქტორი მედიცინისა წამლოგა ჭლექისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაგბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 61).



**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

№ 80. ზ. ს. ს. ს. ქართული წარმოდგენების მმართველი წრე. № 80.

**პარასკევს, 30 დეკემბერს, 1911 წ.**

**კოტე ყიფიანის** მონაწილეობით, წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ბიოლგი ერისთავის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო**

## — გაყრა —

კომედია 4 მოქმედ. გიორგი ერისთავისა.

II. **დადგმულ იქნება ოცცხალი სურათები.**

წარმოდგენის წინ წაიკითხავენ გიორგი ერისთავის ბიოგრაფიას.

**მონაწილეობენ:** ქ-ნნი ანტუანეტა, შ. ბეჟანოვისა, მარგ. გოგოლაშვილი, ო. ლეონავა, ბ. ჯორინთელი, თ. ყიფშიძე, ციმაკურიძე. ბ-ნნი გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ი. ზუბალაშვილი, გ. სვანელი, სალაყაია, ა. მეტრეველი, კ. ყიფიანი, ნარი, კ. ხახანაშვილი, გ. ფროლისპირელი. ნ. ჭანკვეტაძე და სხვა. **დასაწყისი 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგ.: „შეშლილები". (2.1603.1) **ადმინისტრ. ან. ჭიაბერაშვილი.**


## ქართული თეატრი

**სადღესასწაულო რეპერტუარი ახალ კლუბისა და ქართულ თეატრისა.**

**ახალი კლუბი:**

პარასკევს, 30 დეკემბერს,
**სინემატოგრაფი ტ. იაფი ლოტო.**
დასაწყ. საღ. 8 ნახ. საათ.

შაბათს, 31 დეკემბერს,
**„ვნებათა ტალღებში".**
მუსიკ. მოზაიკა 3 მოქ. ვალენტინოვისა.
დასაწყ. საღამ. 8 ნახ. საათ.

**ახალი წლის დახვედრა** (საზოგადო ვახშამი).

**ქართული თეატრი:**

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს,
**ბენეფისი ვ. ლ. გუნიასი.**
**„იულიოს კეისარი",**
ტრაგ. 5 მოქ. შექსპირისა, ი. მაჩაბლისა,
დასაწყ. საღ. 8 საათ.

კვირას, 1 იანვარს, 1912 წ.
**„ღალატი",**
დრამა 5 მოქ. თ. სუმბათაშვილისა, თარგმ, გრ. ყიფშიძისა. დასაწყ. საღ. 8 ს.

ორშაბათს, 2 იანვარს,
**საიუბილეო წარმოდგენა.**
დასაწყ. საღამოს 8 საათ. (3—1650—3)

**ახალი კლუბი**

**შაბათს, 31 დეკემბერს,** ქართ. თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნება

## ვნებათა ტალღებში,

მუსიკ. მოზაიკა 3 მ., ვალენტინოვისა. **დასაწყ. საღ. 8½ ს.** გალერ. შეს. ყველას შეუძლიან და კლუბში შესას. ფასს არ იხდიან. ფას. გალერ. 10—40 კ.-დე. ფას. თეატრში 1 მ. 50 კ. 40 კ.-დე. სტუმრ. იხდიან კლუბ. შესას.: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. წარმ. შემდეგ შეგებება **ახალ-წლისა—აპოთეოზი,** საზოგადო ვახშამი, კაცის თავზე 1 მ. 50 კ. ვისაც ჰსურს საკუთრივ ივახშმოს ოთხ-ადგილიან სტოლში იხდის 2 მ. ბილეთ. წარმოდგენ. და ვახშმისა იყიდება თეატრის კასაში. (3.1650.1)

**ახალი კლუბი**

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი.

**სამშაბათს, 1 იანვარს, კნ. ე. ი. თარხნიშვილისა, ი. ჰ. სარაჯიშვილისა** და **ბროჯის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ტრაგედია,

ოპერა 4 მოქ. ვერდისა. **დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე.**

გალერ. შესვლა ყველას შეუძლიან და კლუბში შესასვლელ ფასს არ იხდიან. ფასები თეატრში საბენეფისოა. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაცი 1 მ., ქალი 50 კ. სტუდ. 25 კ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. (4—1650—1)


**მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.**

**დ. უზნაძის წიგნზე**

## ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა ნიიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში და მთავარშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იბერეთში". თბილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(10 1655 6) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

**განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

**ტელეფონი № 590.**

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი **ვერბიცკისა-ფირადოვისა** ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

**დავთიანი რ. ს.** შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.

**მზარეულოვი მ. ი.** კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.** შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ-დღე 12—1 ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ-დღე 12—1 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ-დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

**თიკანაძე ი. ე.**—ქალის სხ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ-დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლოგა „606"-ით.** (Ehrlich-hata). აქვს აგრედვე საკუთარი მიკროქიმიურ და სანაქტეროლოგიო ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ. 1089. 634)



ყველაზე ძალიანა სიღდება

ვაპიროსი

## „მარსი",

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფირმას. **ნამდვილ ვაპიროს „მარსს"** უნდა ჰქონდეს წარწერა:

**„ძმ. სეილანოვები".**

(100.1622.14)



Adresse Telegraphique ANITAS

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

## Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами

Тифлисъ. Баку. Батумъ.

**ДИДДАЛი**

**საზღვარ გარეთული პარფიუმერია და სასაჩუქრო ნივთები.**

**მიღებულია სულ ახლად გამოსული პარფიუმერია.** (1.1670.1)



**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საუნი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 200)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-მდე.

**ი. მ. ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1 2 საათამდე.

**ვაუკოვი** ქირურგ. ყოველ-დღე 12 1.

**მონსნე** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმისა 1½ 3 საათ.

**კალამკაროვი** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12 1 საათ.

**უკლადნიკოვი** შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4 5 საათ.

**რიდელი** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12 1 საათ.

**თეთრაძე** სიფ. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1 3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½ 12½ საათ.

**რუდენკო** შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3 4 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოველ-დღე 2 3 საათ.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11 12 საათ.

**ყალამქაროვი** ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2 3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1526 34).



**ექიმი** **მ. ს. კობერიძე**

**ქ. გორში**

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5--7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 13)



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლოგა „606"-**

(წლ. 1090 240)



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12 1 ს., საღ. 6 7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 79).



**დოქტორი მედიცინისა**

**ე. ი. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიაროდ და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიძეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მახდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 74)



**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Merhien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100 1117 67).



**ექიმი** **კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.5)



**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 56).



**ექიმი** **კბილისა ნინო რაზმილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.



**ექიმი** **გ. მ. ღოღობერიძე**

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--6)



**ექიმი** **ნ. ტ. მულინი**

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12--1 საათამდე საღამოს 6--8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 53).

**ექიმი** ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** ვ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.35).

## უმაღლესად ეგოკათ

**წმ. სტანისლავი მესამე ხარისხის ორდენი:** სასწავლებლების უფროსებს: დიდი-ჯიხაიშისას—სერგო **გოგობერიძესა**, დიმისას—ეროკლე **ცაკაძეს**, ტამაკონდისას—ალექსი **ცაგარეიშვილსა**, ქვედა-დიმისას—აგაფონ **გეგეშიძესა**, ქუთაისის მესამე საქალაქო სკოლისას—ნიკოლოზ **მესხსა**, კვიტირისას—დავით **მდივანს**, ძველ სენაკისას—ეფსეი **ხოპერასა**, ფოთის სამრევლო სკოლის გამგეს — ალექსანდრე **გვასალიასა**, ქუთაისის პირველ დაწყებით სკოლისას—ვლადიმერ **ნაცვლიშვილსა**, საცრისას—მაქსიმე **კუბლაშვილსა**, ქობულეთისას—მიხეილ **ბახტაძეს** და საფიჩხოსას—ნესტორ **გოკაძესა**.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

სპარსეთში თითქოს მყუდროება ჩამოვარდა. რუსის ჯარმა სასტიკი ზომები მიიღო სპარსელ ფიდაების წინააღმდეგ და დღემდის 15 კაცი ჩამოაღრჩო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისა და რუსების წინააღმდეგ მცხოვრებთა ამხედრებისათვის. როგორც დეპეშები გადმოქვცემენ თავრიზში მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა, რასაკვირველია, რამდენადაც ეს იქ დღევანდელ პირობებშია შესაძლებელი.

გაზეთ „უტრო როსია“ ეხება რუსის ჯარის საზოგადოდ ადერბეიჯანსა და კერძოდ თავრიზში მოქმედებას და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რუსის ჯარის მოქმედებით ისარგებლა მარაგის გუბერნატორმა, პრინცმა შუჯა-უდ-დოულემ და რუსების მიერ ადერბეიჯანს დაპყრობილ სატახტო ქალაქში თვის მომხრეთა რაზმით შევიდა, რომ ნიადაგი მოუმზადოს ძველ შაჰის მაჰომედ-ალის ტახტზე ასვლას. გაზეთის სიტყვით, თუ რუსეთს მეზობელ სახელმწიფოში მყუდროებისა და წესრიგის აღდგენას ჰსურს, მაშინ იგი ნებას არ უნდა აძლევდეს მაჰომედ-ალის მომხრეებს რუსეთის საზღვარზე გადასვლისას. გაზეთი ასეთ მოქმედებაში მაჰომედ ალის მომხრეობას ჰხედავს. მას ძლიერ აკვირვებს, „ნოვო ვრემიას“ გულითადი სურვილი რუსეთის საზოგადოებაში მაჰომედ-ალის სასარგებლო აზრის გავრცელებისა და ამბობს:

> თუ „ნოვოე ვრენიას“ დავუჯერებთ, მაჰომედ-ალი თითქმის ნაპოლეონის ბედზე ოცნებობს, სამხედრო მწერლობის შესწავლას შესდგომია და ბევრსა მუშაობსო.

ერთი სიტყვით, მაჰომედ-ალის საქმე ძლიერ კარგად ყოფილა, ხოლო იგი ჯერ-ჯერობით რაღაცას ელის და ცოტა ყოყმანობსო.

მაჰომედ-ალი კი იმას ელის, თუ როდის შევა რუსის ჯარი თეირანში, რომ თავრიზის რეცეპტით იქაც მცხოვრებლების გულში თავი იჩინოს „გულითადმა სურვილმა“ მისი ტახტზე ხილვისა და მაშინ კი კვლავ აბრძანდება იგი რუსების ხელით მიწოდებულ ირანის მბრძანებელთა ტახტზეო—დაასკვნის გაზეთი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი.

**✦ ნიკ. ოლობერიძის გარდაცვალება. 27 დეკემბერს, ღამით, ტფილისში, „ორიანტის“ სასტუმროში. გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოღვაწე და ქველმოქმედი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ოლობერიძე. დაწვრილებით ცნობებს ხვალ დავბეჭდავთ.**

✦ **„ახალ კლუბში“.** 27 დეკემბერს ახალ კლუბში საბავშვო წარმოდგენა და შობის ხე გაიმართა. საბავშვო დღესასწაული საღამოს 6 საათზე დაიწყო და $9^1/_2$ საათზე დასრულდა. დღესასწაულს მრავალი ბავშვი დაესწრო, რომლებიც მეტად ნასიამოვნები დარჩნენ. ბავშვებმა მამასახლისთა საბჭოს მადლობა გადაუხადეს ასეთ გონივრულ გასართობის მოწყობისათვის.

✦ **„ახალ კლუბის“** ზოგიერთს წევრს განზრახვა აქვს, სთხოვოს კლუბის მამასახლისთა საბჭოს, მოკლე ხანში კლუბის წევრთა საერთო კრება მოიწვიოს რამდენიმე საჩქარო საქმის განსახილველად.

✦ დღეს სახალხო სახლში **ოსური წარმოდგენა** გაიმართება. წარმოადგენენ ე. ბრიტაევის ისტორიულ დრამას „ხაზბი“-ს.

✦ **მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტები** ამიერ კავკასიის ყველა საგუბერნიო ქალაქში იქნება დაარსებული. თვითეულ კომიტეტში ერთი ინსპექტორი და ორი ინსტრუქტორი იქნებიან. ინსპექტორს წელიწადში ჯამაგირად 2,500 მან. ხოლო ინსტრუქტორს 1700 მან. ექნება.

✦ **საფილოქსერო კომიტეტის** გაუქმება საბოლოოდ გადაწყდა.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ კანტროლიორად** სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის კანტროლიორი ვ. ი. იაზვევი დაინიშნა, ხოლო ამ.-კავ. რკინის გზის კანტროლიორი ი. ფ. გრიგოროვიჩი ვარშავა-ვენის რკინის გზის კანტროლიორად დაინიშნა.

✦ **გ. ერისთავის დაბადების ასი წლის თავი.** 27 დეკემბერს, ტფილ. ქართ. გიმნაზიაში იდღესასწაულეს გ. ერისთავის დაბადების ასის წლის თავი და მის პატივსაცემად სალიტერატურო დილა გამართეს. დილა საინტერესო გამოდგა და დამსწრენიც ასიაძოვნა. წაიკითხეს სამი რეფერატი: მ. საყვარელიძეს, „გ. ერისთავი და მისი დრო“, შ. ბერიძეს „გ. ერისთავის ლირიკა“ და ვ. ეგნატაშვილმა „გიორგი ერისთავი, როგორც დრამატურგი“. მოწაფეებმა წარმოსთქვეს სხვა. და სხვა ძველთა ლექსები და ძოწაფეთა ხოროომ შეასრულა სიმღერა. დილა მარტოოდენ მოწაფეთათვის იყო გამართული, გარეშენი არ დასწრებიან.

✦ **ქუთაისის გუბერნატორი** გენ.-ლეიტენანტი ა. ი. სლავოჩინსკი ტფილისში ჩამოვიდა.

✦ **სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგე** დ. ვ. ბეზობრაზოვი სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თ. ი. როდიჩევი** 31 დეკემბერს სახალხო სახლში ლექციას წაიკითხავს სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

✦ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ** სინოდისაგან ბრძანება მიიღო, რომლითაც ხირსის (კახეთშია) მონასტრის წინამძღოლად არქიმანდრიტ სვიმონის მაგივრად ტფ. ფერიცვალების მონასტრის ხაზინადარი ბერ-მონაზონი დიმიტრია დანიშნული არქიმანდრიტის ხარისხში აღყვანით. უკანასკნელის ალაგას იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ბერ-მონაზონი სერაფიონი არის დანიშნული.

✦ **შობის ხე.** 27 დეკემბერს სულით-ავადმყოფთა საქალაქო თავშესაფარში (სოლოლაკშია) შობის ხე გამართეს ავადმყოფთათვის. საღამოზე გარეშე პირნიც იყვნენ მოწვეულნი.

✦ **მუხის ხე-ტყეს** ამ ჟამად საზღვარ-გარედ დიდი გასავალი ჰქონია. ამიტომ ერთს დიდს ამხანაგობას განუზრახავს ექვს მილიონად შეიძინოს ახმედ-ხან-ტალიშანსკის მუხის ტყე, რომელიც ლენქორანის მაზრაშია.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტროლის მთავარი კანტროლიორი** ბ-ნი სავოისკი შუა-აზიის რკინის გზის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 1) 25 დეკემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ტფ. მოქალაქემ სარიბეგ მნაცაკანას ძე სარუმოვმა თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, 2) 26 დეკემბერს, ღამის 11 საათზე, ალექსანდრე კარტაშიანმა თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს და მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ განჯის პოლიციამ შეიპყრო და ტფილისში გამოგზავნა საეჭვო კაცი, რომელიც აღმოჩნდა ქუთაისის მაზრის სოფელ ზარეთის მცხოვრები ისმაილ ბუკურაძე. პოლიციის ცნობით, იგი ცნობილი ჯიბგირია, მრავალჯერ მოუხდია სასჯელი ქურდობისთვის და ბოლოს გორში ყოფილა გაგზავნილი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ბუკურაძე მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

✦ 25 დეკემბერს, ღამით, ვორონცოვის ქუჩაზე, მირზოევის მამულში ცეცხლი გაუჩნდა აღა-ბაბა-გაჯი-მამედ-ოღლის თივას (6.000 ფუთი). ცეცხლმა, რომელიც ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო, 600 ფუთი თივა ჩაბუგა.

✦ ტფილისში შეიპყრეს: 21 დეკემბერს—56 უპასპორტო. 25 დეკემბერს—9 და 27 დეკემბერს—6.

### სოფლებთა ცხოვრებიდან.

✦ დღეს „ტფ. საკრებულოს“ დარბაზში **სალიტერატურო და სამუსიკო საღამო** გაიმართა. საზოგადოებამ სწავლებელთა კავკასიის ... ების სასარგებლოდ.

### ხონი.

✦ ამ ახლო ხანში წაიკითხავს სიმონ **ქვარიანი ლექციას**: „გიორგი საკაძე და მისი დრო“.

✦ ორი კვირაა რაც ხონს და ქუთაის შუა ავტომობილების მიმოსვლა შესწყდა.

✦ 18 დეკემბერს ადგილობრივ სამოქალაქო გამგემ მოიწვია ამავე სკოლის მოწაფეთა, მშობლების კრებაზე ბ-მა მამალაძემ, სხვათა შორის, ურჩია მშობლებს, მოწაფეები თეატრში არ გაუშვათ, რადგანაც თეატრი ადამიანის გამრყვნელი დაწესებულებაა.

## დასაგმოგი გულგრილობა

(თ-დ გ. დ. ერისთავის დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო).

ეროვნულ გრძნობას, ეროვნულ ერთიანობას სხვა არა უდევს რა საძირკვლად და სარჩულად თუ არ ურთიერთშორის სოლიდარობის შეგნება, თუ არ თაყვანისცემა და პატივისცემა იმ მსხვერპლთა წინაშე, რომელიც მამულისთვის საკურთხეველზე შეწირულა, თუ არ დიდება იმ გმირთა, იმ ძოღვაწეთა, რომელთაც შეუქმნიათ საეროვნო კულტურა.

ჩვენ, ქართველები, რომელნიც ძმიმე და მწვავე კრიზისს განიცდიან ჩვენ ეროვნულ არსებობაში, სწორედ ამ საგანში ვიჩენთ გადაგვარების საშიშარ სიმპტომებს ერთ უდიდეს მაჩვენებლად ჩვენი ეროვნული დაძაბუნებისა. სამარადისოდ საკმარისია ჩვენის დიდებულის მოძღვრის, ჩვენის ახალის ძწერლობისა და საზოგადოებრივი კულტურისა ისე უდიერად მოპყრობა, მისი ეკლის გვირგვინით დაჯილდოვება. მაგრამ თითქო ეს საკმარისი არ იყოს საუკუნო შესანახიებლად, თითქო ამას ჩვენზედ თავზარდამცემი გავლენა ვერ ჰქონდეს სხვა ჩვენ დიდებულ კაცთა მიმართ. საძარცხვინო გულგრილობას ვიჩენთ. კიდევ კარგი თუ ჩვენი გამოჩენილი კაცი ცოცხალია. ორიოდე მეგობარი, რომელიც მისი მზის სხივების ქვეშე თბება ის მაინც მოახერხებს, აგიტაცია გასწიოს მისი იუბილეს მეხსახებ და ჩვენს გულგრილობას სამარცხვინო დანაშაულს არ ჩაადენინებს. ხოლო თუ დიდებული ჩვენი კაცი განისვენებს და ქირისუფალიც არავინა ჰყავს ყველას მიგდებული ჰყავს და მივიწყებული, თითქო მათი გახსენება ჩვენი საერო სულისთვის ჩვენის საზოგადოებრივი გრძნობისათვის არ იყოს ძიუცილებელი.

1786 წელში დაიბადა ჩვენი ახალი პოეზიის მამამთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ბბა თუ ვისმე გახსენებია ან მისი დაბადების ან მისი გარდაცვალების იუბილე, თუმცა ეს სულ აგერ ეხლა იყო. 1801 დაიბადა გრიგოლ ორბელიანი და ესევე ბედი ეწია. 1811-ში დაბადებულია გიორგი ერისთავი, შემქმნელი ჩვენში ახალის ლიტერატურულის მიმართულებისა (რეალიზმისა), ახალის ლიტერატურულის გვარისა (დრამატიულის ნაწარმების), დამაარსებელი ქართულის თეატრისა და ქართულის ჟურნალისა. ერთის კაცისაგან, რაც უნდა დიადის ნიჭით იყოს იგი მოსილი, სრულიად საკმარისია და ასეთი კაცი ყოველი ერისთვის სადიდებელი და სათაყვანებელი იქმნებოდა და ჩვენ არც კი გაგვხსენებია. ვისაც კი რამე დაუწერია ჩვენში გ. ერისთავის შესახებ ყველანი მოიხსენებენ მის სახელს მოწიწებით და მადლობით. ეი რას ამბობს პლატონ იოსელიანი: „მან დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის“, უნდა მართალი ვთქვათ, რომ ჩვენ ფილოსოფოსს სავსებით გამოხატული აქვს ამ რამდენიმე სიტყვაში მთელი დიდებული ლიტერატურული ღვაწლი გ. ერისთავისა. მან „დაბადა ენა ახალისა გვარისა მწერლობისათვის“, ესე იგი მან ახალი კილო შემოიღო მწერლობისა, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ჩვენ რომანტიკოს მწერალთა კილოსაგან. მან შეჰქმნა ის კილო ენისა, რომელსაც ვხმარობთ დღეს ჩვენ: სადა, მარტივი ხალხის ენასთან დაახლოებული კილო; ის კილო, რომელიც მიუცილებელი იყო ახალის მწერლობისათვის. ეს მწერლობა რეალურ ნიადაგზე იდგა, რეალიზმის განმახორციელებული იყო ჩვენში, რეალიზმი კი ყოველ დღიურ ცხოვრებას თვალ ყურ ადევნებდა, ჩვეულებრივი მოვლენის გამოხატვა ედვა მიზნად და ამგვარის აზრის მისაღწევად ისეთი ენის კილო იყო საჭირო, როგორიც გ. ერისთავმა შემოიღო. გ. ერისთავი იმ ლიტერატურულ მიმართულების შემქმნელი იყო, რომელიც შემდეგში განავითარა და უმაღლეს ... ხურამდის აიყვანა ილიამ და ... საფუ... ... ... ... აკაკიმ. ... ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცჩემ ქოხს გავუკეთოვო. ორი ათასი წლის შემდეგ ქრისტეს აქეთ **ისო**-ს უკვირს ურდულის გამოგონება? აბა რა არის აქ საკვირველი? ისა, მკითხველო, რომ ისოებს ამისთანები აკვირვებს?

მაგრამ ყველა ეს რა მოსატანია, როცა ოფურჩხეთის კვიცარიძეს **„perpetuum mobile“** მოუგონია მთელი ქვეყნის დიდნი და პატარანი სცდილობდნენ ამის მოგონებაზედ, როცა არ იცოდნენ ბუნების კანონები, მაგრამ ეხლა, როცა ახალმა მეცნიერებამ, თერმოდინამოკამ და მისმა ულმობელმა კანონებმა დაამტკიცეს, რომ **„perpetuum mobile** პირველი გვარისაც“ (ე. ი. მექანიკური ძალის შექმნა არარაობიდგან) **და** „მეორე გვარისაც“ (ე. ი. ბუნების ძალთა გამოყენებით) — **შეუძლებელიაო**, ამაზედ აღარავინა ფიქრობს,

ეს, რომ „სემინარიელ ინტელიგენტმა „ოფურჩხეთიდან“ არ იცოდეს,—ეს თვით ღმერთის კანონია; ეს რომ ისოს არ იცოდეს, ხომ აღარც ისო იქნებოდა. მაგრამ ნუ თუ „თემი“, ვიდრე ამისთანა ზღაპრებს [illegible] და ქვეყანას შეცდომაში შეიყვანდეს თავისი ოპტიმისტური თვალსაზრისით ქართველების უნარზედ, არ უნდა ეცნობოდეს ზერელად მაინც აწინდელ მეცნიერებას?, იმ დარგებში მაინც, რომლებზედაც ალაპარაკებს თანამშრომლებს.

ღმერთმანი, ისიც მახარებს, რომ [illegible] ოფუ[illegible]ეთელს [illegible] სახელარი არა ჰქონია თავისი ხის მოდელი „გამოამეღავნოს და საფუძვლიანად გააცნოს“ ვისმე მცოდნეს, თორემ მადლობას [illegible] ისოს. როცა მოხუცს ოცნებას გაუქარწყლებენ და ნათლად დაანახვებენ ტყუილად წყლის ნაყვას. სხვა ვაჭართა და მეურნეებზე აღარ გაგიგრძელეთ სიტყვას, ოღონდ გეტყვით, ბატ. ისო, კარგი იქნება, ცოტა სიფრთხილით მოექცეთ ყველა გაგონილს [illegible] და თუ მაინცა და მაინც წრის დაარსება გსურთ—დააარსეთ ისეთი, რომ **ცოდნით** გაუწიონ ერთმანეთს წევრებმა დახმარება და მაშინ, ეგებ, ნიჭიერებს აღარც მატერიალური შველა დასჭირდეთ... ეს უფრო იაფიც არის და საფუძვლიანიც.

**რ. გაბაშვილი.**

## სხვა და სხვა ამბები

— სოფელ დენისოვკაში (ორენბურგის გუბერნია) შიმშილისაგან შეწუხებული გლეხები შვილებს შეძლებულ ყირგიზებზე ჰყიდიან.

— მარიუპოლის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ჭეშმარიტ რუსთა ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე კოვალევსკი პასუხის გებლობაში აძლევს სათათბიროს დეპუტატებს, რომლებიც ხელიმოაწერეს დეპუტატ-კარავაევის მოკვლის შესახებ შეკითხვას.

— საპატიმროთა მთავარ სამმართველოს ინსპექტორს ლერხელს დაჭკარგვია მეტად საჭირო ქაღალდები, რომლებშიაც ბევრი საიდუმლო ცნობა იყო პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ.

— „რუსკოე ზნამიას“ რედაქციაში გაზეთის თანამშრომელს სამართებლით ყელი გამოუჭრია.

— ბაქოს დამცველ განყოფილების აგენტს დადაშევს ფულის დატყუებისთვის სასამართლომ 4 წლის კატორღა მიუსაჯა.

## არეულობა სპარსეთში

**დეპეშები.**

27 დეკემბერი.

**თავრიზი.** აუარებელ ხალხის თანადასწრებით დაბრუნდა სამის წლის წინად ფიდაების მიერ ქალაქიდან განდევნილი მართლმორწმუნეთა მუშტეჰიდი მირზა-ჰასან-აღა. მცხოვრებნი ძალიან კმაყოფილნი არიან რუსის ჯარის აქ ყოფნით.

**პეტერბურგი.** გაზეთი „როსია“ უპასუხებს მათ, ვინც რუსის ჯარს სისასტიკეს აწერს და ამბობს; თავრიზის ბრძოლაში რუსებს ერთი აფიცერი და 39 ჯარისკაცი მოუკლეს და 5 აფიცერი და 45 ჯარისკაცი დაუჭრესო. ამის გარდა ჯერ ვერ უპოვნიათ 23 ჯარისკაცის გვამი. მნახველთა სიტყვით, დაჭრილ-დახოცილთ სპარსელნი აწამებდნენ. შურის საძიებლად თავრიზში ჯერ-ჯერობით ჩამოახრჩეს 15 კაცი, რომელნიც თვით მცხოვრებლებმა გასცეს. სამხედრო-საველე სასამართლომ გაანთავისუფლა და აპატია 26 კაცს, რაც მის სიფრთხილეს ამტკიცებს. ისტორიამ კარგად იცის, რანაირად უპასუხებდნენ ევროპის სხვა ერები ამისთანა ვერაგულ თავდასხმას. ჩამოხრჩობილი მოლა სი კეტულ-ისლამი სპარსეთის ანარქიისა და რუსთა საწინააღმდეგო მოქმედების მეთაური იყო. სამწუხაროა, როდესაც რევრესიებს მიჰმართავენ, მაგრამ იგი აუცილებელია მეტხორც ელემენტთა შესაშინებლად და არეულობისაგან განაწამებ ქალაქ თავრიზის დასამშვიდებლად. რუსეთი სულაც არ მოერიდება სასტიკ ზომათა მიღებას რუსეთის მოსაზღვრე სპარსეთის ნაწილში წესიერების აღსადგენად.

**გაზეთებიდან.**

**რუსის ჯარი ურმიაში.**

პეტერბურგში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსის ჯარის მიერ ქალაქ ქოის, ურმიაშია, აღებამ. ამბობენ, ამით ბოლო მოეღებაო ოსმალეთის პროგრესიულ მოქმედებასაო.

სტამბოლში მყოფ რუსეთის ელჩისათვის ამის თაობაზე ოსმალეთის მთავრობას ჯერ არაფერი განუცხადებია.

**შუსტერის წასვლის საქმე.**

შუსტერს ანგარიში უნდა წარედგინა სპარსეთის მიერ არჩეულ კომისიისთვის. შუსტერსა და კომისიის წევრებს უთანხმოება მოუვიდათ, რის გამოც იგი მალე ვერ შეატოვებს სპარსეთსა. ბუშირს კრეისერ „ფოქსით“ ინგლის-ინდოელთა ჯარის დამსჯელი რაზმი მივიდა. ჯარი გაემართა ყაზერ-უნისაკენ. [illegible] ელჩს სმოკრტს თავს დაესხნენ. თავდასხმის დროს 5 ინგლისელი მოჰკლეს, ათი დასჭრეს. თავდამსხმელნი ახალ სისტემის თოფებით ყოფილან შეიარაღებულნი.

**„ნიუ-იორკ ჰერალდის“ აზრი.**

გაზეთ „რეჩს“ პარიზიდან დეპეშა მიუღია: ეტყობა, „ნიუ-იორკ ჰერალდს“ აქაური სპარსელნი და ამერიკელნი აღიზიანებენ და იგი რუსეთს ძალიან მტრულად ეპყრობაო. გაზეთი ამბობს, თავიანთი რუსის ჯარი სომხის დუქნებსა და საჯაროებსა სძარცვავს, ანგრევს და საჯაროდ ჩამოხრჩობის გარდა ტერორიც არის გავრცელებულიო. სპარსეთის საფინანსო უწყებაში მსახურთ ინგლისის ბანკს შეაფარეს თავი, რადგანაც რუსის ჯარი ამოჟლეტას ემუქროდაო. რეშტის მდგომარეობა უარესია. გუბერნატორი, პოლიციის უფროსი და მთავრობის ყველა წარმომადგენელნი განდევნეს. გაზეთის სიტყით, ზოგიერთი ექვით დაპატიმრებულნიც კი ჩამოახრჩევეს რუსებმაც.

**მაჰომედ-ალის გამეფება.**

გაზ. „უტრო როს.“ ვენიდან დეპეშა მოჰსვლია: დიპლომატთა წრეში თავრიზიდან შემდეგი დეპეშა მიიღეს: „თავრიზის მცხოვრებთ მაჰომედ-ალი სპარსეთის შაჰად გამოაცხადესო.“

## ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები.**

**ხანკოუ.** ხანკოუს აღების საქმე გათავდა. ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მკვიდრნი სცხოვრობენ, ძარცვა-გლეჯა გახშირდა.

რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ლიოანქუნმა სამმუხლოვანი ულტიმატუმი წარუდგინა მთავრობას: პოლიცია სავაჭრო პალატას უნდა დაექვემდებაროს, იმასვე უნდა გადაეცეს რკინის გზა იმ ადგილებში, სადაც რევოლუციონერებმა აიღეს და უნდა არჩეულ იქმნას შერეული კომისია მთავრობის ჯარის მიერ მიყენებულ ზიანის თოფხანის ზარალის გამოსაანგარიშებლად. ულტიმატუმის ვადა განსაზღვრული არ არის. რევოლუციონერებს თათბირი აქვთ ხანკოუსა და ქანიანის აღების თაობაზე, თუ ვინიცობაა ულტიმატუმი უარჰყვეს.

**შანჰაი.** ჯარს ნანკინში ჭზავნიან სამშვიდობო მოლაპარაკებამ ჯერ ვერაფერი ნაყოფი გამოიღო.

**კიახტა.** 26 დეკემბეოს მოხეტიალე ჩინელები, შეშინებულნი მონგოლთა რაზმის მოახლოებით, შეგროვდნენ და მაიმაჩენის გამგეობას დაეცნენ. მონგოლთა მოხელეთ ჩინეთის ტელეგრაფის უფროსთან შეაფარეს თავი. მონგოლ სტრაჟნიკებს იარაღი აჰყარეს. ჩინელთა ბრბოსაგან გატაცებული იარაღი მეორე დღესვე უკან დააბრუნეს. ჩინელნი იმუქრებიან, თუ ჩვენი გადასახლება დააპირეთ, მაიმაჩენს ნაცარტუტას ავადენთო. მონგოლეთის მთავრობამ რუსეთს დახმარება სთხოვა.

**ვერნი.** ახალ სუიდენში 26 დეკემბერს არეულობა მოხდა. ჩინელებმა მანჯურები აიკლეს. მოჰკლეს და დასჭრეს 400 კაცამდე. ყველა დაწესებულება აჯანყებულთა ხელშია. საზღვართან მშვიდობიანობაა.

**გაზეთებიდან**

**ევროპიელთა დაცვა.**

საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს პეკინიდან ამბავი მიუვიდა საფრანგეთის ელჩისაგან, უეკველად საჭიროა სახელმწიფოებმა ევროპიელთა ქონებისა და სიცოცხლის დასაცავად ჯარი გამოჰგზავნონ. ევროპის დიპლომატებს თანხმობა ჰქონდათ და ჯარის გაგზავნა გადასწყვიტეს,

**ევროპის საქმეში ჩარევის პროვოკაცია.**

„რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტს ახალგაზდა ჩინელთა პარიზის კომიტეტის სადგომში უსაუბრნია შუაგულ რესპუბლიკის კაბინეთის ვიცე-კოროლ სიტონგფასთან. სიტონგფას უთქვამს:

— იუანშიკაიმ უკანასკნელსა და უკიდურესს საშუალებას მიჰმართა, იგი ეხლა მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ ევროპიელები რაძენაირად ჩინეთის საქმეებში ჩარიოს. დიდებულების და საძეფო გვარეულობაში მოგროვილ ფულით ყაჩაღთა ბრბოებს ადგენენ, ციხიდან გამოქცეულთა და კატორღელებისაგან. იუანშიკაისა ჰსურს ძარცვა-გლეჯა გაახშიროს და ევროპიელები იძულებულ ჰყოს საქმეში ჩაერევნენ, ამნაირად ჰფიქრობენ „ბოქსიორობის“ ხელოვნურად განახლებას.

სიტონგფას თურმე უთქვამს, თუმცა საქმე ასეა, მაგრამ დინასტიის ნაცადი ხერხი ეხლა ვეღარ გამოდგებაო.

**გერმანიის გამტყუნება.**

ტოკიოს პრესა გერმანიას თურმე ძალიანა ჰკიცხავს იმის გამო, რომ ჩინელს მთავრობას გერმანია მხარს უჭერსო. გერმანელი აფიცრები ჩინეთის მთავრობის ჯარში მსახურებენ და დიდ დახმარებას უწევენ მასაო.

**სუნიატსენი ჩინეთის დროებით მთავრობის სათავეში.**

ოფიციალურმა წრეებმა ცნობა მიიღეს, სუნიატსენი უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებასო.

**რუსეთი და ჩინეთი.**

პეკინიდან ინგლისის გაზეთებს ატყობინებენ, რუსეთმა ჩინეთს შემდეგი მოთხოვნები წარუდგინაო: 1) რუსეთს განსაკუთრებით უფლებანი უნდა მიეცეს კიახტიდან ურგამდე რკინის გზის გაყვანისა, 2) ჩინეთ-რუსეთის საზღვრები უნდა შესწორდეს და რუსეთს მონგოლეთის ერთი ნაწილი დაეთმოს, და 3) იმ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომლებიც მონგოლეთს ეხება, რუსეთს უნდა დაეკითხნენ და მისი დასტურით იხელმძღვანელონ.

## იტალია-ოსმალეთის ომი

**დეპეშა.**

**ქაირი.** ტრიპოლის საზღვართან ოსმალთა 10 ოფიცერი დაატყვევეს, ისინი ტრიპოლში გადასვლასა სცდილობდნენ.

**გაზეთებიდან.**

**„ვატიკანის სააგენტოს“ კორესპოდენტთა განდევნა.**

სამღვდელოების წრეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იტალიიდან „ვატიკანის სააგენტოს“ დირექტორისა და ორ კორესპოდენტის განდევნამ. მათი განდევნის მიზეზი ის არის, რომ იტალიის საწინააღმდეგო ყალბ ცნობებს ავრცელებდნენ. „მესაჟეროს“ სიტყვით სააგენტო რაღაცნაირად ახერხებდა სამხედრო ცენზურის გვერდის ახვევას და შემდეგ სხვა და სხვა გაზეთებში ყალბ ცნობებს აფავსებდა.

— პეტერბურგში კერძო ცნობა მისულა, იტალიამა და ოსმალეთმა ზავის თაობაზე მოლაპარაკება გამართესო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

27 დეკემბერი.

**რომი.** ვენეციასა და ლივერნოში ქარიშხალი ამოვარდა. ზარალი ძლიერ დიდია. ტელეგრაფი და ტელეფონი გაფუჭებულია.

**ვენა.** „პოლსკო სლოვო“ იუწყება: პოლონელთა ორგანიზაციების კავშირმა ჩეხელ „შეავარდენთა“ მთავარ კომიტეტს აცნობა, რომ იგი არ შეუერთდება სლავიანთა კავშირს, რადგანაც რუსი — „შეავარდნებიც“ მოგიწვევიათო.

**ლუბლიანი.** ავტონომიურ ოლქთა უფროსად ივანე შუსტერშიჩი დანიშნეს. იგი სერბისა და ერობის თავმჯდომარედაც იქნება. სლოვენცთა ეროვნულ გათვითცნობიერების ერთ-ერთ ორგანიზაციის ორმოც და ათის წლის თავი გადაიხადეს, იუბილეში მონაწილეობა მიიღო სამხედრო წოდებამაც და საზოგადოდ მთავრობამ, ამისთანა შემთხვევა ლუბლიანში პირველია.

**მონრეალი.** კანადის გზაზე ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. 33 კაცი დაიღუპა.

**პარიზი.** პარლამენტის სესია განახლდა. ბრისონი ხელმეორედ აირჩიეს პალატის პრეზიდენტად.

სენატის კომისიის სხდომაზე კაიო და დესელვი ვერ შეთანხმდნენ და დესელვი სამსახურიდან გადადგა. სენატში ხმა გავრცელდა, კრუპიც გადადგებაო.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** დაიწყო რუსეთის მხატვართა კრება.

**იალტა.** ორ დღეს კოკისპირულად სწვიმდა. მოვარდა ნიაღვარი, რომელმაც ბევრგან ქუჩები წალეკა. სახლების ქვედა სართულები წყალით გაივსო ზარალი დიდია.

**პეტერბურგი.** დაიწყო მატემატიკის მასწავლებელთა პირველი კრება. კრებას სახელმწიფო სათათბიროს წევრი პროფესორი ვასილევი თავჯდომარეობს.

საღამოს 8 საათზე ბორისისა და გლების ეკლესიაში მოსამსახურის გასისხლიანებული გვამი იპოვეს, იქვე ეგდო საფულე და დაჭეჭყილი შანდალი. მკელელებს ორი ტომარა შავი ფული გაუტაცნიათ.

**იალტა.** ნიაღვარმა ორსართულიანი სახლი დაანგრია. მდგმურები ძლივს გადაარჩინეს. ორი კაცი დაირჩო.

**ხარკოვი.** ქალაქზე თოვლის ქარიშხალმა გადაიარა. ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. ქალაქის მიდამოებში ქარიშხალმა ხეები დალეწა და სახლებს სახურავები მოჰგლიჯა. მატარებლები იგვიანებს.

## სიმშილი რუსეთში

გაზეთები მრავალ ცნობებს გვაწვდიან მოუსავლობისაგან დაზარალებულთა ცხოვრებიდან. ბევრ გუბერნიაში სახადი მძვინვარებს.

ორ რუსის მღვდელს, კედროვსა და ცვეტკოვს, განუზრახავთ დახმარება აღმოუჩინონ მოუსავლობისაგან დაზარალებულთ. სხვათა შორის, კედროვს მოსკოვის ქალაქის უფროსისათვის უთხოვნია, ნება მომეცით, ქალაქი შემოვიარო, და დამშეულთათვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა რამ შევაგროვორ. ბ. ანდრიანოვს პირველად უარი განუცხადებია, შემდეგ — კედროვისათვის უთქვამს, გარკვევით განსაზღვრეთ გეგმა ქალაქის შემოვლისა და მეც დაგეხმარებითო.

სამარის გუბერნიის სოფელ მიროლუბოვის მღვდელს ცვეტკოვმა და კედროვმა ფული გაუგზავნეს ადგილობრივ დამშეულთათვის, უფრო სასადილოს დაარსებისათვის. სოფელ მიროლიუბოვსკის მღვდელი ცვეტკოვს სწერს: „გარშემო ისეთი გაჭირვებაა, რომ ხალხს სიკვდილისაგან ეჭირვება დახსნა და არა შიმშილისაგან, ამისთვის ამ ჟამად სასადილოს დაარსება შეუძლებელია, ხალხს მხოლოდ პური დაურიგეთო“.

ციმბირისა, უფისა, ორენბურგისა და სარატოვის გუბერნიებში იგზავნება ფული, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ქალაქ ჩელიაბინსკში, რომელიც ყველაზე უფრო დაზარალდა მოუსავლობისაგან, 11 ყუთი ძასაზრდოებელი ფხვიერი „ოძეგა“ გაიგზავნა.

ცვეტკოვსა და კედროვს მრავალ მემამულეთაგან მისდის წერილები, გამოუცხადეთ მოუსავლობისაგან დაზარალებულთ, რომ ჩვენ სამუშაო გვაქვს და მსურველთ გზის ფულს ჩვენ მივაწვდითო.

ამ საქმეში შუამავლობა მღვდელმა ცვეტკოვმა იკისრა.

## პოლიტიკანოგა, თუ პედაგოგოგა?

(უკანასკნელი პასუხი „კოლხიდის“ პედაგოგს).

(შემდეგი *)

რუსული მეთოდიკა, საიდანაც ამოწერილი აქვს ვითომ „პოლიტიკანური ადგილი“ „კოლხიდის“ პედაგოგს, **დაწერილია ოცის წლის წინად.** ეს ის ხანა იყო, როდესაც ქართველობას უფრო ხმა-მაღლა სწამებდნენ პოლიტიკურს სეპარტიზმს, ვიდრე სწამებენ ეხლა, და თხოულობდნენ რეპრესიების გაძლიერებასა. ეს ის ხანა იყო, როდესაც სემინარიის რექტორის მოკვლას ლადიძის მიერ აბრალებდნენ რუსებისა და რუსეთის სიძულვილსა. მზრუნველი იანოვსკი ამავე სიძულვილს, ამავე სეპარტიზმს სწამებდა თვით ქართველს სამღვდელოებას, და თხოულობდა ქართველის ეპისკოპოზების გადაყვანას რუსეთში და მათ მაგიერ რუსების გადმოყვანას, რამაც გამოიწვია გაბრიელ ეპისკოპოზის მამულიშვილური წერილები, რომელშიაც იგი აღიარებდა ქართველების პოლიტიკურს ერთგულობას რუსეთისადმი და სთვლიდა ცილის წამებად სეპარტიზმის დაბრალებას. ეს ის დრო იყო, როდესაც სუვორინს თავისს გაზეთს „ნოვოე ვრემია“-ში თვით ქართველი გლეხობა გამოჰყავდა სეპარტიზმით გამსჭვალულ წოდებად და თხოულობდა, რომ ქართულს სახელმწიფო მიწებზე რუსი გლეხები გადმოესახლებინათ (იხილე ჩემს „რჩეულს ნაწერებში“ სტატია: „ახალი წყალობა სუვორინისა“). ეს ის დრო იყო, როდესაც მუნჯური მეთოდი შემოიღეს იმ განზრახვით, რომ ქართული ენა, როგორც ვითომ ჟურჟელი სეპარტიზმისა, სკოლებში გაექარწყლებინათ. იმავე დაწამების ძალით ქართულის ენის ამოფხვრას შეუდგნენ სამეგრელოში.

ამ დამლუპველს მიმართულებას ანგარიშის გაწევა უნდოდა და მეც ვუწევდი, რაც კი შემეძლო. ვუგზავნიდი რუსულს სატანტო გაზეთებს სტატიებს, სადაც ვუთვალისწინებდი რუსულს საზოგადოებას და მართებლობას უკიდურესს შევიწროებას ქართველებისას, როგორც საერო, ისე სასულიერო სფერაში, აღვნიშნავდი დიდს დრტვინვას, რომელსაც ჰბადავდნენ ეს დაუმსახურებელი რეპრესიები ქართველთა შორის, და ვამბობდი, რომ ამ დრტვინვას არაფერი კავშირი არა აქვს პოლიტიკურს სეპარატიზმთანა-მეთქი. ასეთს წერილებს ვბეჭდავი „გოლოსში“, „ვოსტოკში“, „სოვრემენია იზვესტიაში“, (რომელიც ჩემი წერილის გამო ადმინისტრაციამ შეაჩერა), „პეტერბურგის ვედომოსტში“ და ბოლოს „რასსვეტში“. უკანასკნელში პირდაპირ გამოვსთქვი ის აზრი, რომ ქართველობის სეპარატიზმი განზრახ მოგონილია იმ იეზუიტური მიზნით, რომ ქართველობა რეპრესიებით გაანადგურებინონ და მისი მშვენიერი სამშობლო დაასახლებინონ თავისიანებით-მეთქი.

ამისთანა შინაარსის გატარება რუსულს სახელმძღვანელოში ხომ ხაშიში იყო; მაგრამ მე არ შევუშინდი, და მასში იგივე აზრი გავატარე, რომელიც გამომყვანდა რუსულს პერიოდულს პრესაში; მხოლოდ უფრო რბილად, ფრთხილად და მშვიდობიანი კილოთი. მე იმედი გამოვსთქვი, სხვათა შორის, და მოვთხოვე, რომ ქართველს ერს მიენიჭოს წმინდა პედაგოგიური საახალხო სკოლა და ქართულს ენას ფართო გზა მიეცეს ყველა სასწავლებელში, რათა ქართული ლიტერატურა წინანდებურადვე განვითარდეს და აყვავდეს-მეთქი. ასეთი სამართლიანი მოპყრობა და თანასწორობა რუსებთან ქართველობამ დაიმსახურა-მეთქი პირველად თავისი ნება-ყოფლობითი შეერთებით რუსეთთან, თავისი ერთ მორწმუნეობით, რამაც იგი ბევრ მხრივ დაამგზავსა რუსეთის მკვიდრთა და მეორედ—თავისი პოლიტიკურ ეროგულობით, რასაც მოწმობენ ყველა რუსნი მწერალნი, რომელთაც შემთხვევა ჰქონდათ დაახლოებით გაეცნოთ საქართველო და ქართველობა-მეთქი, და მომყავს ციტატები ამ მწერლებისა.

რუსულს მეთოდიკას ვათავებ ასე: მასწავლებლები ქართულის სახალხო სკოლებისა თავის მოვალეობად უნდა სთვლიდნენ და **კიდევაც სთვლიან**, ეს ერთობის მიმართულება განამტკიცონ თავისს მოწაფეთა შორის იმითი, რომ დანერგონ მათში სიყვარული საქართველოსი და რუსეთისა, ქართულის ენისა და სახელმწიფოისა, ქართულის ლიტერისა და ისტორიისა, აგრეედვე რუსულის ლიტერატურისა და ისტორისა, და ჩაგონონ ერთგულება რუსეთის იმპერატორისა, როგორც კანონიერის მემკვიდრისა ძველს ქართულის სამეფოს სახლის ბაგრატიონთა გვარეულობისა. დეკანოზ ვოსტორგოვს ეს ადგილი, როგორც წინადაც აღვნიშნე, ესმოდა ასე: გოგებაშვილი ქადაგებს ისეთს ერთობას, სადაც საქართველოსა და ყველაფერს ქართულს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს და მეორე რუსეთს და ყველაფერს რუსულსაო. და ისიც სად გაჭყავს ასეთი აზრიო? რუსულს სახელმძღვანელშიო.

მაგრამ რაღას იზამდა, როდესაც, მის განწესების წინად ეპარქიის მეთვალ-ყურედ, სინოდისაგან მოვიდა მოწონება „Русское Слово“-სი და მისი მეთოდიკისა, თანახმადეპისკოპოსის კირიონის და ნიკოლოზ ტატიშვილის მოხსენებისა და პროფესორის ცაგარლის მეცადინეობისა. მაგრამ ულტრა ბიუროკრატებმა ფაქტიურად მაინც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეთოდიკის გავრცელებას სკოლებში, რის გამოც იგი **ოცის წლის განმავლობაში გაიყიდა სულ ორი ათასი ეკზემპლიარი.**

**იაკობ გოგებაშვილი.**

(დასასრული იქნება)

## თეატრი და ხელოვნება

**ვალერიან გუნიას ბენეფისი.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ჩვენი სცენის დამსახურებულ მსახიობის ვალერიან გუნიას ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ვილიამ შექსპირის დიდებული ტრაგედია „იულიოს კეისარი“, რომლისათვის დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანსაცმელები. მთავარი როლები განაწილებულია ასე: კეისარი — მესხიშვილი, ბრუტოს—გუნია, კასიოს—იშხნელი, კასკა—კ. მესხი, ანტონიოს—მატარაძე, კალფურნია ამირეჯიბი, პორცია—დავითაშვილი და სხვ. პიესას სდგამს მოსკოვის სამხატვრო თეატრის **misen scen**-მიხედვით ბ-ნი ვლ. მესხიშვილი. პიესაში გამოტოვებულია ორი უკანასკნელი სცენა, რადგან მისი დადგმა ტეხნიკურის დაბრკოლების გამო ჩვენს თეატრში შეუძლებელია.

*) იხ. „სახალხო გაზ.“ № 486.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება კონცერტი—დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ჩვენი ნიჭიერი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, ნიკ. ქართველიშვილი, ბ-ნი ნემო, ვასო აბაშიძე, გოცირიძე, დავითა შვილი, ამირეჯიბი, გრიშაშვილი და სხვანი. ეკვი არ არის ქართველი საზოგადოება ღირსეულის ყურადღებით მოეკიდება ბ-ნ ვ. გუნიას ბენეფისს.

**ქართული თეატრი.** ორშაბათს, 26 დეკემბერს, დილით ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქმნა აკაკის „პატარა კახი“.

პიესამ მწყობრად ჩაიარა. ქ. დავითა შვილმა მოხდენილად შეასრულა „პატარა კახის“ როლი. კარგები იყვნენ კოტე მესხი და მატარაძე, პირველი ბაადურისა და მეორე გივის როლში; დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო დამეტად ნასიამოვნები დარჩა.

**ქართული ოპერა.** ორშაბათს, 26 დეკემბერს, ქართულ თეატრში განმეორებულ იქმნა როსინის ცნობილი ნაჭარმოები „სევილიელი დალაქი“. ჯერ ქართულად ოპერა არ მოძესმინა და არა ჩვეულებრივის აღელვებით ვუახლოვდებოდი თეატრის დარბაზს; ვესწრაფოდი ჩემის ყურით მომესმინა ჩვენი მოძღერალნი, რომელთა შესახებ ქება ხშირად მსმენია.

იმედი სრულებით გამიმართლდა: ჩვენძა მოძღერალებმა ძეტად ლაზათიანად და მწყობრად შეასრულეს ნაკისრი მოვალეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან: ბ. სარაჯიშვილი, ცხომელიძე და ქ. აღასოვისა.

**სარაჯიშვილი** (ალმავივა) რამოდენჯერძე მომისმენია, მას თვისი ტკბილის ხმით ყოველთვის კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩემზე, მაგრამ ამ საღამოს (ალმავივას როლში) იგი არა ჩვეულებრივი იყო: მთელი საზოგადოების ყურადღება თვისკენ მიეზიდა და თვისი ხმის მწყობრი მუსიკალობით აღტაცებას იწვევდა მსმენელთ გულში; მართალია, როგორც ეს არა ერთხელ აღუნიშნავთ, ბ. სარაჯიშვილს დიდი ხმა არა აქვს, მაგრამ ხმა მისი მეტად მტკბარია, სასმენად მეტად საამო და მხიბლავი, განსაკუთრებით მუსიკალობას სარაჯიშვილი ხმის საშუალო ფარდებში აღწევს, აქ იგი ნამდვილი მომღერალია, რომელსაც ძალუძს მსმენელის გულის სიმებს მძლავრად ჩამოჰკრას და ესთეტიურ სიამოვნების ჟრუანტელი მოგგვაროთ... და საზოგადოებაც გაცხარებული ტაშისცემით ეგებებოდა მას.

**ბ. ცხომელიძეს** (ფიგარო) პირველად მოვუსმინე და უნდა სიმართლე ვთქვა, პირნათლად შეასრულა თვისი როლი და საზოგადოების გულმხურვალე ტაშისცემა დაიმსახურა.

**ქალ. აღასოვისამ** (როზინა) სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოიწვია თვისის ხმით, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ მას ხმა ჯერ სავსებით შემუშავებული ვერა აქვს და ხშირად, განსაკუთრებით მაღალ ფარდებში, შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს; იმედი გვაქვს ქ. აღასოვისა ამ ნაკლს სავსებით გაისწორებს და თვის ხმას შესაფერ განვითარებას მისცემს.

მეტად კარგი იყო **ბ. აღასოვი.** (დონბახილიო). **ბ-ნმა ბეგთაბეგოვმა** (დონბარტოლო) ძალზე გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება.

დანარჩენ მომღერალთა შესახებ ვიტყვი, რომ რამდენადაც საქმე ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზდა მომღერლებს ეხებოდა, იგინი შეძლებისა დაგვარად ხელს უწყობდნენ ანსამბლს. ორკესტრს **ბ. ნ. ქართველიშვილი** ლოტბარობდა და მისდა სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მოხდენილადაც ლოტბარობდა, რისთვისაც არა ერთხელ იქმნა დაჯილდოვებული ტაშისცემით.

ოპერას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სჩანს, ქართველობა გულისხმიერად ეკიდება იმ მეტად საყურადღებო საქმეს, როგორიც ჩვენი ოპერის წინმსვლელობაა.

სრულს წარმატებასა და გამარჯვებას ვუსურვებთ ქართულ ოპერის სარბიელზე მომუშავეთ.

**ალ. წ ლი.**

## წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემული გაზეთის ფურცლებზე.

„სახალხო გაზეთის“ 478 ნომერში ბ. „ბუკსი“ წერილში „ხმა სამტრედიიდან“ სწერს: „თავმჯდომარე ი. სტურუას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით სამტრედიის ბანკს აქვს ნდობა მხოლოდ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში 3000 მანეთისა და მიწერ-მოწერა აქვს სხვა და სხვა ბანკებთანაც ნდობის მოსაპოვებლად“.

თავმჯდომარე ი. სტურუას მოხსენებაში იყო ნათქვამი: „ამასთანავე განვმარტავთ საზოგადოების საყურადღებოთ სხვა ბანკებთან დაკოკიდებულების მდგომარეობას: ცენტრალურმა ბანკმა გაგვიხსნა სავეს ქსილო ნდობა 10,000 მანათისა, აქედგან ვისარგებლეთ 6,700 მანათით, დაგვრჩენია კიდევ 3,300 მან.; იმავე ბანკში ბლანკის კრედიტი გვაქვს ჯერ-ჯერობით 5,000 მანეთის, რომელიც განაწილებულია შემდეგ ნაირათ—ვარშავაში 1,000 მან., ტფილისში 2,000 მან. და ოდესაში 2,000 მან.; კერძოდ გახსნილი აქვს ბანკ-ბლანკის კრედიტი ცენტრალურ ბანკის დამოუკიდებლად ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადებასთან 3,000 მან.; მიწერ-მოწერა აქვს ბათომის საურთიერთო ნდობის საზოგადოებასთან, აზოვო-დონის ბანკის ფოთის განყოფილებასთან და შეერთებულ ბანკთან ბათომში“.

ნუ თუ ბ. ბუკსის ფიქრით ცენტრალური ბანკის ნდობას და ისიც 15,000 მანათისას არაფერი მნიშვნელობა აქვს ისეთი ნორჩ საზოგადოებისათვის, როგორიც არის ჩვენი საზოგადოება, რომელიც არსებობს მხოლოდ ამ წლის 16 მარიამობისთვიდან! ამას რატომ არ იხსენიებს?!

ბ-ნი ბუკსი გამგეობის თავმჯდომარის ი. სტურუას მოკლე და მიზაარსიან სიტყვას ბანკის მნიშვნელობაზე აღებ-მიცემაში და კერძოდ სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოქმედებაზე ჩვენს დაბაში მიაწერს საბჭოს თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს, რომელმაც მართლაც მოკლედ და ნათლად მხოლოდ-ღა ბანკის წინსვლაზე ილაპარაკა.

ნუ თუ ძნელია, ბ-ნო ბუკსო, ერთი პატარა კრების ანგარიშის სწორედ გადაცემა? თუ ძალა არ შეგწევთ, ნუ სწერთ.

მე, როგორც წევრი სამტრედიის ბანკისა, როგორც დამსწრე იმ კრებისა და როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მოვალედ ვთვლი ჩემ თავს ბანკის მომავალზე ვიზრუნო და ამიტომ ვწერ ამ წერილს. **ექიმი რ. ნანეიშვილი.**

სცენის მოყვარეთა წრის „ნაძალადევი“-ს გამგეობა ულრმეს მადლობას უძღვნის ქვემომოხსენებულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შემოსწირეს „ნაძალადევი“-ს თეატრის შენობის დასამთავრებლად, რითაც წრის გამგეობას შეძლებას აძლევენ დიად ტაძრის დამთავრებისას.

პეტრე იოსების ძე თ-დ თუმანიშვილმა 20 მ. და სტამბა „ნადეჟდა“-მ 2 მ.

წრის გამგეობის მდივანი **ი. ფანიაშვილი.**

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის ფურცელზე მოვათავსოთ შემდეგი: სოხუმელ ტყის მრეწველმა ბ. შაბრანოვმა კეთილ ინება და შემოსწირა ს. ბაბუშერის ორ-კლასიან სასწავლებლის შენობის გასათბობად ამა მიმდინარე 19¹¹/₁₂ წ. 10 საჟ. ცხემლის შეშა, რაისათვის უღრმეს მადლობას უძღვნიან ზემოხსენებულ სკოლის მზრუნველები საზოგადოების სახელით.

ბაბუშერის სკოლის მასწავლებლები (**რ. ანთია, ი. შელია**). მზრუნველები: **1. (ალექსი ქაქუჩაია, სამსომ ჯგერნაია** და **ანდრია წურწუმია**). ბაბუშერის სოფლის მამასახლისი (**მიქე თოდუა**) მწ. **ისიდორე ნადერეიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**


## განცხადებანი

თმის
**საღებავი**
**კაკლის ექსტრაკტისა**
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჭღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუმტშავად თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.
პარფ. № 4711. **თევდ. მიულგენსი**
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი **კოლნი**
**და რ ● ი ი ბ.**
დაარს. 1792 წ.



ფასი ფლაკონისა: 1 მან. 20 კაპ. დიდი ფლაკ. 2 მან.
Москва 352138. (9—1546—5)



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**მუხრანის კერძო**
## სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ Песковская ул. 9 и 43 Цицiановская подъемъ, противъ новаго (Мухранскаго) моста Телефонъ № 370.
**ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.**
**ა. ბ. გაზაზოვი.** შინაგან სნეულებანი, დილის 10--11 ს.-მდე.
**გ. მ. გოგობერიძე.** შინაგან და ბავშვებისა, 11--12 ს.-დე.
**მ. კ. იოსელიანი.** დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.
**მ. ლ. შტრეიხერი.** ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.
**ლ. გ. საყვარელიძე.** შინაგან და ბავშვ., 12 ნახ. 1 ს.დე.
**ია შვილი.** შინაგან, 1--2 ს.დე.
**გ. ბ. მელკონიანი.** ქირურგ., 12--1 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი.** ქირურგიულ., 11--12 ს.-მდე.
**გ. ა. ახვერდოვი.** შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.
**მ. დ. კილოსანიძე.** ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.
**კევში.** კბილისა, 8--10 ს.-დე.
**მ. ბ. მიკირტუმოვი.** დედათა სნეულებ. და საბეინო, 1 ნახ. ს.-დე.
ათაწანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით. დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3--5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.
№ (646. 100--56 (0--1903--197)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**
**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენამზე**
## ჯრა-კერვის
**წიგნის**
**თვით-მასავლებელი, 128 ნახატი.**
**ახალი მეთოდი.**
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შვდგენილი და გამოცემული
**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ Г. Тифлисъ „Школа кроики и шитья софіи Іосифовны имени вой. Булье. пер. собс. домъ (100—1140—93)



## სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**
დაარსებულია 1830 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10--11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მლინი:** 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.
**მ. გ. ავეტისიანი:** 11--12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაი:** 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,
**გ. ი. გურგენოვი:** 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანი:** 1 1½ ს. შინაგანი და სიბავშვე.
**ბ. გ. აგასაროვი:** 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაი:** 5--6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**მ. გ. ავეტისიანი:** 6--7 საათ.
**11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტაციურად.**
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 11138.204)



**გ ა მ ო ც ე დ ი ლ მ ა**
## მასწავლებელმა
**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავალო, ისე საქალებისთვის. **სამასწავლებლო** ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
**აგრედვე გააგრძელებს მიღებას:**
**სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. აგზადებს ერთ და ორ **კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა **კლასის ჩინისთვის.** დებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იენება სამ ალაგას: 1) ვერაზე; 2) **ვაგზალზე,** 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა **და** სხვა **და** სხვა საგნებისა.
**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო. 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეინებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.52)



**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, ს. ხელი სვანიშვილისა.



## ღვინით მოვაჭრე
ამხ. **„კომეტა“**
ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.
**მიიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების**
**ღვინო,** ფასები **ყველასათვის ხელმისაწვდომია.** (20. 1560. 14).



**მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-ეკონომიურ**
**ჟურნალ კოოპერაციაზე** წელიწადი მეორე.

1912 წლის განმავლობაში ჟურნალი გამოვა შემდეგის პროგრამით: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და ეკონომიურ საკითხებზე, 2 წერილები მუნიციპალურ საკითხებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) თანამედროვე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრების მიმოხილვა; 6) სავაჭრო განყოფილება; 7) ნარევი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებზე. **ჟურნალში** მიიღებენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარ წლით 1 მ. 50 კ., თვიურად 30 კ., ხოლო ქუთაისს გარეშე, გაგზავნით: წლიურად 3 მ. ნახევარ წლით 1 მან. 5 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

**წლიური ხელის მომწერლები** მიიღებენ 1912 წ. განმავლობაში ჟურნალის 40 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურებს** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ის ხელის მომწერლები, რომლებიც მოაწერენ ხელს ჟურნალზე მიმდინარე 1911 წ. დეკემბრის 31-მდე და შემოიტანენ სრულად წლიურ გადასახადს, 1912 წ. პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. გიბნერის** საუცხოო წიგნს ქართულად: **„კოოპერაციის სისტემები“** რომელიც ცალკე ეღირება 1 მ. 20 კ.

**ვთხოვთ** ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობს ჟურნალის გამოცემას და სურს კოოპერაციის განვითარება ჩვენში, გამართონ ჟურნალზე ხელის მოწერა და მისთვის განცხადების მიღება, რაისთვის მათ გაეგზავნება საკვიტანციო წიგნები პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**განცხადების ფასი:** 1 გვერდზე სტრიქონი პეტიტით 30 კ., უკანასკნელებზე 20 კ.

ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ასეთ ადრესით; Кутаисъ, редакція журнала „Кооперація“.

1911 წლის განმავლობაში გამოსულ ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის,“ „გამგეობის პირველი ნაბიჯები“; „სასოფლო სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში“; „სახელოსნო კოოპერატივი“, „მომხმარებელ საზოგადოების წესდება“; გამოჩენილი კოოპერატორების ბიოგრაფია; ლევ. ტოლსტოისა, პროფ. მიგულინისა, პროფ. კაბლუკოვისა, პროფ. კაუფმანისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების ახალი კოოპერაციის მნიშვნელობაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, ვ. თ. ტოტომიანისა და სხვების და აგრეთვე სურათები კოოპერატიულ ცხოვრებიდან.

**1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.**

1912 წლის ხელის მომწერლებს, რომლებიც გამოგზავნიან ფულს 31 დეკემბრამდე, 1911 წ. ნომრები დაეთმობათ მხოლოდ 7ს კ.

(6.1654.)

რედაქტორ-გამომცემელი
**იასონ გაბილაია.**



**6 მ.** 1 წელიწ. | **მიიღება ხელის-მოწერა 1912 წ.** | **3 მ.** 6 თვით.
**ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი ს ი დ ი დ**
**საპოლიტიკო, საზოგადოებრივ, და სალიტერატურო გაზეთ**
## „სოვრემენნოე სლოვო“-ზე.
**გამოცემის მე-5 წელ.** | **გამოდის ს.-პეტერბურგში.** | **გამოცემის მე-6 წელ.**
რედაქციისა და მთავარ კანტორის მისამართი: С.-Петербургъ, ул., Жуковскаго, 21.

პროგრესიული, დემოკრატიული დაუპარტიო გაზეთი „სოვრემენნოე სლოვო“, **ერთად ერთია** სატანტო გაზეთებში, რომელიც **ხელმისაწვდომ ფასად,** შინაარსითა და გარეგანის სახითაც მართლაც **დიდი პოლიტიკური გაზეთია,** რომელსაც ძეხოვრებთა ფართე წრეები ჰყავს ძხედველობაში.

საზოგადო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენები **საგანგებოდ გაგზავნილ კორესპონდენტების მიერ** გვაქვს გადმოცემული. რედაქციამ ყოველი ზომა მიიღო, რომ **მე-4 სათბიბროს საარჩევნო კამპანია** დაწერილებით ინუხებოდეს „**სოვრ. სლოვ.**“-ში, რაც შეიძლება ფართედ, აუარებელ დეპეშებით ადა ადგილობრივ კორესპონდენციებით.

1912 წ. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ **ფელეტონებს** (დიდსა და პატარას), სისტემატიურად მოვათავსებთ სალიტერატურო, სამეცნიერო და ხელოვნების ციმოხილვას. 1911 წ. ამ განყოფილებაში იბეჭდებოდა წერილები: ვ. კ. აგაფონოვისა, ვლად. ბაზოვისა, ნ. აშეშოვისა, ა. ნ. ბენუასი, ჯონ ბრაუნინგისა, ა. ბუდიშჩევისა, ანდრეი ბელიისა, ვ. ი. ვერნადსკისა, ს. გოროდეცკისა, ლუტვი გურევიჩისა, ს. კოდეურუშვილისა, ე. ლუნდბერგისა, ს. ლუბაშისა, სტარობრიადცევის ეპისკოპოს მიხეილისა, მ. ნოვოროსსკისა, დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკისა, ა. ოფეგოვისა, ბ. სადოვსკისა, ტახისა, გრ. ა. ნ. ტოლსტოისა, ა. მ. ფედოროვისა, დ. ფილიპოვოვისა, ტ. შჩეპკინ-კუპერნიკისა, არტურ შნიცლერისა, კ. ი. ჩულოვსკისა და სხვა.

გაზეთში მოთავსდება **ცალკე განყოფილებანი: „მასწავლებელთა შორის“, „სამეცნიერო ლოგების წრეში“** და სხვანი, სპეციალისტების რედაქტორობით. აქ ფართედ გამოიყენებენ ყოველ-გვარ წერილებს, ცხობებსა და **მკითხველთა აზრს.**

გაზეთში მოვათავსებთ **პორტრეტებსა** და **ნახატებს** ყოველდღიურ პირველ-გვერდ. **„მკითხველთა სპასუხნო“** განყოფილებაში „ყოველ-დღე მოვათავსებთ ხელის-მომწერეთა შეკითხვაზე პასუხს, საზოგადოებრივ-იურიდიულ ხასიათისას.

**„სოვრემენნოე სლოვო“ ორშაბათობითაც გამოდის.**

„სოვრ. სლ.“ ყველა ხელის-მომწერნი უფასოდ მიიღებენ დამატებას:

**„ნედელია სოვრემენნაგო სლოვა“.**

ამ დამატებაში იქნება:

1) რომანები, მოთხრობანი, ლექსები და სხვ. 2) წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და მეცნიერებაზე, 3) ისტორიული მიმოხილვანი, 4) მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი რამ, 5) წვრილმანი, 6) პორტრეტები და ნახატები, 7) ხმამატის განყოფილება.

**1912 წ. რედაქცია შეუდგა დამატების გაუმჯობესებას და გაზეთს გააყოლებს სპეციალურ ნომრებს, გადიდებულის ზომისას, ბევრის სურათების თვალსაჩინო პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სალიტერატურო მოვლენათა. გა ✦ განსაკუთრებული საიუბილეო ნომრები ეძღვნება მამული შვილურ ომიანობის ასი წლის თავს, სალიტერატურო იუბილეს ი. ა. განჩაროვისას, ა. ი. გერცენისას და სხვა. ✦**

„სოვრ. სლოვოს“ სალიტერატურო დამატებანი მთელის წლისა ერთ დიდ წიგნს შეადგენს, სადაც 60 ნაბეჭდ თაბახს მაინც შეიდრება.

**ხელის მოწერის ფასი „სოვრემენნოე სლოვო“-ზე (დამატებიანად):**

| | 12 თვე. | 9 თვე. | 6 თვე. | 3 თვე. | 1 თვე. |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში: | 6 მ.— | 4 მ 50 კ. | 3 მ.— | 1 მ. 50 კ. | 55 კ. |
| საზღვარ-გარეთ: | 12 მ.— | 10 მ.— | 7 მ.— | 3 მ. 55 კ. | 1 მ. 25 კ. |

სოფლის მდგლებს, მასწავლებლებს, უმაღლ. სასწ. მოწაფეთ, გლეხებს, მუშებს, და ფელეშრებისათვის გაზ. ეღირება, **თუ მთავარ კანტორას მიმართავენ**—წლით 5 მ. 50 კაპ., 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 40 კ.

ხელის-მოწერის ფასი ბარათებითა და დოკუმენტებით არ მიიღება. ხელის-მოწერა მხოლოდ თვის 1 რიცხვ. შეიძლება. ხელმოწერა ნაწილ-ნაწილ, ნისიით და ფას-დადებით არ მიიღება.

**გაზეთის გასაცნობათ სანიმუშო ნომრებს უფასოდ ვგზავნით**

3 თვით. 1 მ. 50 კ. | 1 თვით. 55 კ.

(3.1658.2)



**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა**
**დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ**
## „ნაკადულ“-ზე
**✦ წელიწადი მერვე. ✦**
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**
**24 წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●—**
**—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 6 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. 10 **Московскій просп.** д. № 8 და **წერაკითხვის** საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. ძთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო ინანაძესთან, **თელავში**—ვასო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **ბორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასარაძესთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—5 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**



## სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
**მუდმივის საწოლებით.**
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათიანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსი, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. დ. ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითი და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**
(100—1615—7).



## ვ ი ღ ე ბ
## საეკლესიო სამხატვრო საქმეებს.
მსუველთ შეუძლიანთ მომმართონ **სოფ. პრიუტში,** მანგლისის გზა. ტფილისის მაზრა, **მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.** (23.958.4)



## „ს ო ლ ა ვ ნ ი ს“ გ ა მ ო ც ე მ ა.
**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად**
## კედლის კალენდარი 1912 წლისა,
**შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.**
კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. **კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს. ფ ა ს ი** კი ისევ ძველებურია **40 კაპ.**
**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი“, მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფ ა ს ი 20 კ.“**
პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапань“, М. Гачечиладзе. (20. 1594. 17)